[illegible]

№ 386 1918 წ. კვირა ნოემბრის 17. № 386

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რკინის გზებზე 60 კაპ.

ინგლისელთა მისსია ტფილისში ჯერ არ ჩამოსულა. გერმანიის სახალხო დელეგაცია მიმართავს ევროპის პირობების შემსუბუქების თხოვნით. იტალიაში რევოლიუციაა: ჯარში დეზერტირობა გახშირდა. ნეიტრალური პრესა მოითხოვს ზავის პირობების შემსუბუქებას. ერევანში მოჰკლეს მზრუნველობის მინისტრი კარჩიკიანი. ბაქოში ინგლისელთა მისსია ჩასულა.

ღრმად დამწუხრებული იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 12 ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ანჩისხატის ქუჩა № 5, დაკრძალვა მოხდება კვირას, ნოემბრის 17-ს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ხოლო გამოსვენება ანჩისხატის ტაძარში დილის 10 საათზედ. 2385

თავზარ დაცემული მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინი, თვისი მეუღლე თამარ იოსებ კორინთელის ასულით უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 12-ს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა პირველისა უსაყვარლესი და მანუგეშებელი და, ხოლო მეორისა სიყვარულით აღსავსე და დაუვიწყარი შვილი

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანი

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ანჩისხატის ქუჩა № 5, გამოსვენება კვირას, ნოემბრის 17-ს, ანჩისხატის ტაძარში, დილის 10. საათ. 2385

ნადეჟდა მიხეილის ასული დალაქიშვილისა და თებრო ქუმსიევისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი რძლის

ნინო ალექსანდრეს ასულ ქურდიანის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზედ საკუთარ ბინაზედ (ანჩისხატის ქუჩა № 5), წირვა და პანაშვიდი კვირას გიორგობისთვის 17-ს. 2394

ბარბარე ალექსანდრეს ასული და სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ საყვარელი რძლის

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, ნოემბრის 17-ს, წირვა და პანაშვიდი ანჩისხატის ტაძარში. 2395

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე: ვერა, მამა გიორგი, დები: ლიუბა, თამარი, ძმები: ვალერიან, სერგო, შვილები: ტუსუ და თინა ჭანტურიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ნიკოლოზ (კოლია) გიორგის ძე ჭანტურიშვილი

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ნოემბრის 18-ს (ახალი სტილით) ნაშუადღევის სამ საათზე ქალაქ ხონში. 2406

გულ დაღუთქული ძმისწული სიმონ ალმასხანის ძე გაბუნია მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ნათესავებს რომ თავისი გამზრდელი ბიძის ტიტულიარნი სოვეტნიკის

სოლომონ სიმონის ძე გაბუნიას

გარდაცვალებას. რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე არის დანიშნული ნოემბრის 19-ს, სამშაბათს (ახ. სტ.) სოფელ ონოღიაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. 2401

ქეთო ილიას ასული გაბუნია აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი მეუღლის ტიტულიარნი სოვეტნიკის

სოლომონ სიმონის ძე გაბუნიასი,

რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე არის დანიშნული ნოემბრის 19-ს, სამშაბათს (ახ. სტ.) სოფელ ონოღიაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. 2401

გულდათუთქული სპირიდონ ალექსის ძე გუგუშვილი, [illegible] გაბუნიის ასული ილიკო და ხალამპრო სპირიდონის ძე გუგუშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 14-ს, საკუთარ სახლში ონოღიაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის [illegible] და უკანასკნელის საყვარელი გამზრდელი ტიტულიარნი სოვეტნიკი

სოლომონი სიმონის ძე გაბუნია

რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ნოემბრის 19 ს (ახალი სტილით) ს. ონოღიაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. 2401

გულდათუთქული მშობლები დედა ივლიტე, მამა საბა, ძმები რაჟდენ, [illegible] ჩიქოვანები ღრმა მწუხარებით აუწყებენ რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა [illegible]

ლავრენტი საბას ძე ჩიქოვანი

და მისი მეუღლე

მარიამ ეგნატე ნაცვალიშვილის ასული ჩიქოვანისა

სოფ. ბაში (ქუთ. გუბ.) 2411

ღრმად დამწუხრებულნი [illegible] ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი დისა, მეორის [illegible]

პაშა (პარასკევა) ალექსის ასული ჭანტურიას

უდროოდ გარდაცვალებას. რომლის დაკრძალვა, მოხდება დღეს, კვირას, ნოემბრის 17 ს, წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება დილის 10 საათზე [illegible] 2412

ღრმად დამწუხრებულნი ეფრემ დავითის ძე ონიაშვილი, დავით თავის ოჯახობით, გიორგი, ივანე, ელისაბედი, დარო, მარიამ ონიაშვილი, იაკობ და ნინო ტატიშვილი თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 14-ს ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ტფილისში გარდაიცვალა მეუღლე პირველისა, ხოლო ძვირფასი დედა დანარჩენებისა

ეკატერინე ზაქარის ასული ონიაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში. 2042

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ მოწაფეთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს თანამოაზრე ამხანაგებს და საზოგადოებას, რომ დუშეთის მაზრაში ვერაგულად იქმნა მოკლული ძვირფასი ამხანაგი

გრიგოლ ჟუჟუნიძე

ჩამოსვენების და დაკრძალვის დღე (ვადა) იქნება გამოცხადებული. 2403

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალისტ-ფედერალისტთა ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს თანამოაზრე ამხანაგებს და საზოგადოებას, რომ დუშეთის მაზრაში ვერაგულად იქმნა მოკლული ძვირფასი ამხანაგი

გრიგოლ ჟუჟუნიძე

გამოსვენების და დაკრძალვის დღე (ვადა) იქნება გამოცხადებული. 2404

სახელმწიფო თეატრი

ოპერა

კვირას, ნოემბრის 17-ს,

დილით კარმენი ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ბიზესი.

მონაწილეობენ: მოროზოვისა, ვიშნევსკაია, ინაშვილი და სხვ. დასაწყისი დილის 12 საათზე

საღამოთი შეუცვლელ, ზალიშვილის და პოლიევის მონაწილეობით **1. ქ-ნი ბატერფლაი** ოპერა 3 მოქმ., პუჩინის მუსიკა

2. ქორწინება მოლდავიაში ბალეტი.

სამშაბათს, ნოემბრის 19-ს საბაიევის, ორდის და ბერიშვილის მონაწილეობით **ფაუსტი.** ოთხშაბათს, ნოემბრის 20-ს **ევგენი ონეგინი.**

დასის წარმომადგენელი [illegible]. 1397

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"

დემ. კლ. არხ. კარ. საზ. წარ. მმარ. წრე

დღეს, კვირას ნოემბრის 17-ს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის მიერ გადმოკეთებული პიესა

1. ბატონი და ყმა 2. სუფლიორის დებიუტი

დრამა 3 მოქმ. ვოდ. 1 მოქ. თარგ. ახოსპირელისა.

ბილეთების ფასი საზოგადო. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი 3. ფრანგიშვილი. ა. წ. მმარ. წრის გამგეობა.

შემდეგი წარმოდგენა ნოემბრის 24-ს 2400

ცირკი „მოდერნი"

(კოლოფი ქ. ელიზაროვისა, მიხეილის ქუჩა)

კვირას, 1918 წ. ნოემბრის 17-ს გაიმართება

ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით სამი საათიდან დიდი წარმოდგენა და კავკასიური ქეიფობა. მონაწილეობენ საუკეთესო მოჭიდავეები, საღამოს მონაწილეობენ მთელი დასი, დიდი წარმოდგენა. ბოლოს კაბარე.

დასაწყისი საღამოს 7½ ს.

მთავარი ადმინისტრატორი 3. ელიზაროვი. 2631

მიხეილის საგუბერნიო-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 3 ამა 1918 წლისა, დილის 1 საათზე, მოხდება ქ. ტფილისში, ბანკის განყოფილების შენობაში, ფრეილინის ქუჩა № 1, ვაჭრობა ბანკის მამულებისა, მდებარე ქ. ტფილისში: 1) მალაკანის ქუჩაზე, [illegible] ერთ ნაჭერ ადგილს, ზომით 312 ოთხკუთხ საჟენს, [illegible] და 2) [illegible] ერთ ნაჭერ ადგილს, ზომით 190 ოთხკუთხ საჟენს [illegible]. 1398

განცხადება

სისხლის სამართლის მოსამართლის [illegible]

[illegible] (განოვის ქ. № 12). 1413

სისხლის სამართლის მოსამართლის უფროსი ჟორდანია.

ტფილ. სის ვაჭრ. [illegible]

[illegible] 2415

განცხადება

[illegible] ქ. № 3, [illegible]

მართლის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში. 1411

ტფილისი, ნოემბრის 17.

ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა და ამიერკავკასიის ერები

როგორც ევროპის, ისე საქართველოს სოციალისტურ პოლიტიკურ ცხოვრების წინაშე გადაიშალა სრულიად ახალი საერთაშორისო ძალთა განწყობილება, რომელიც ახალ პერსპექტივებს უშლის არა რომელიმე ერის ცხოვრებას, არამედ მთელ მსოფლიოსაც. ეს ახალი საერთაშორისო ცვლილება უმთავრესად გამოიწვია რევოლიუციამ გერმანიისა, ავსტრო-უნგრეთისა და იტალიაში. ევროპის საერთაშორისო რევოლიუციამ ერთის ხელის დაკვრით ძირში ამოაგდო იმპერიალიზმი გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში და ოსმალეთში, ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ რა გრანდიოზულ ზომას მიიღებს საერთაშორისო რევოლიუცია, რომლის წიაღში ოთხასამდე მილიონი ევროპიელი არის ჩათრეული, თუ რევოლიუციის სტიქია გაძლიერდა და მან მთელი ევროპა დაიჭირა, უეჭველია სამშვიდობო საერთაშორისო კონფერენციას დაეპატრონებიან არა პოლიტიკური კომბინაციონერობა არამედ პრინციპების პრინციპად დამკვიდრდა დემოკრატების და მაშინ არც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის და თვით ვილსონის პროგრამის არც ერთ მუხლს კაპიტალისტებისათვის არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამნაირად, საბოლოო სიტყვის თქმა დღეს პირდაპირ შეუძლებელია „მისი უდიდებულესობის" ევროპის რევოლიუციონური დინამიკა მოძრაობის პროცესში და მას დიდი გავლენა აქვს მსოფლიოსათვის. მაგრამ ვიდრე ეს პერსპექტივა კონკრეტულ ფორმებში მოგვევლინება და სინამდვილეს ხელს შევახებთ, მანამდინაც ჩვენთვის აშკარაა: ამ წუთში ამერიკის და ინგლისის იმპერიალიზმი გამარჯვებულ დღესასწაულობს და ის ოდნავადაც არ აქცევს ყურადღებას იმ რევოლიუციონურ დუღილს, რომელიც ევროპას მოსდებია. პირიქით ეს სახელმწიფოები ცდილობენ თვით ამ რევოლიუციონურ დუღილში გააკეთონ ის რაც არც ისე ადვილი გასაკეთებელი მშვიდობიანობის დროს და ამნაირად ექსპრესიით მისწრაფიან სანუკვარ მიზნებისაკენ. დიახ, ჩვენს წინაშე დღეს ახალი მდგომარეობა შექმნილა. პრესაში უკვე აღინუსხა, რომ ჩვენი ქვეყნისაკენ ინგლისელები მოდიან, რომელთაც გერმანულ ინტერესების საწინააღმდეგო მიზნები აქვთ დასახული. მართალია ჩვენ ამის თქმა არ შეგვიძლიან გადაჭრით თუ რამდენად ხანგრძლივი იქნება ინგლისის სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ რა ნაირი მდგომარეობაც არ უნდა შეიქმნეს ინგლისისათვის, ინგლისი საქართველოში ნახავს ჩამოყალიბებულ მთლიან სახელმწიფოს და იგი სახელმწიფო ინგლისს დაუხვდება ლოიალურად, როგორც ეს შეეფერის მუდმივ ნეიტრალიტეტის და სუვერენობის დამცველ სახელმწიფოს.

ჩვენი ღრმა რწმენით, თვით ინგლისიც ასევე ლოიალურ [illegible] ბილებას გამოიჩენს საქართველოსადმი, სადაც სრული სოფლის და სახ[illegible] მშვიდობიანი ტრანსფორმაცია მოხდა ქართულ კულტურულ ნაციონალობის პრინციპზე. საერთოდ დემოკრატიულ [illegible] ინგლისს, შეიძლება ევროპის საერთო პირობები და ვილსონის ლოზუნგები გვიჩვენებენ, რომ ინგლისური პოლიტიკა ვერ იქნება ბურჟუაზიულ იმპერიალიზმის და ვინ-

კითხვაზის პოლიტიკა. თვით ადგილობრივი ერების ფსიქოლოგია და ეროვნული თვითგამორკვევა დაანახვებს ყველა ქვეყანას, რომ ამიერკავკასიაში საერთოდ შემოსვლა შეუძლია სახელმწიფოს მეგობრობის მიხედვით და არა ძალის, უტეხი, ტლანქი იარაღის მეოხებით. პაწია საქართველო და სომხეთი თუმცა გრძნობდნენ ენვერფაშას სახელმწიფოს მილიტარისტულ სიმძიმეს, მაგრამ მაინც იარაღით ხელში იცავდნენ არა უწესოებას და უსამართლობას, არამედ ეროვნულ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. დიახ ეს უწმინდესი მიზანი ეხლაც ყველა ადგილობრივ ერს აერთებს და ეს მიზანი ყველას მოგვცემს ძალას, გამბედაობას და ხალისს, რომ როგორც ფიზიკურად, ისე ადმინისტრატიული ნიჭით, ეკონომიური საშუალებით, ფინანსიური რესურსით ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის. თვით ინგლისისათვის არ არის უცნობი ეროვნული ბრძოლა. დიდი პიტიდან დაწყებული ლოიდ ჯორჯამდე ინგლისის ისტორია არის ისტორია ერების ბრძოლისა და ყველამ იცის, რომ ამ ისტორიაში გამარჯვებული ერები გამოვიდნენ როდესაც მიიღო ამერიკამ სრული დამოუკიდებლობა, ხოლო ავტონომიები ავსტრალიამ, ინდოეთმა, ირლანდიამ და სხვ. ნუ თუ მეოცე საუკუნეში ინგლისის ისტორია იქნება საუკუნე ეროვნულ რეაქციის და უბედურების? ეს არც მოსალოდნელია და არც შესაძლებელი.

ეროვნული თავისუფლება!—აი ჩვენი სადღეისო ლოზუნგი ამ წუთში. ამ ლოზუნგის გარშემო უნდა შემოვკრბეთ ყველანი, ამ ლოზუნგით დიუხვდით გერმანიის კოალიციას და ეს ლოზუნგი უნდა იყოვოს ჩვენს შეგნებაში ყველა კოალიციამ, რომელსაც კი წაიიყვანს ამბოხებული ზღვა ევროპისა.

საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი მიმართულება

მსოფლიო ამბები საოცარის სისწრაფით ვითარდება. გერმანელების დამარცხებამ საერთოდ შესცვალა ძალთა განწყობილება და არ დარჩენილა დედამიწის კუთხე, სადაც ამ გარემოებას გავლენა არ მოეხდინოს. ამ დამარცხებამ გამოიწვია გერმანიის რევოლიუცია, რომელსაც ჯერ-ჯერობით გამოეხმაურა იტალია. მაგრამ წარმოუდგენელია, ბერლინში დაწყებულს მოძრაობას ადგილობრივი ხასიათი შერჩეს და იგი არ მოედვას მთელს ევროპას. თუ ამდენხანს საერთაშორისო ომის საგანი იყო თავის ბატონობის და ტერიტორიის გაფართოვება—იმპერიალისტური მისწრაფება ინგლისის და მისი მოკავშირეებისა ერთის მხრით და გერმანიის და მისი მოკავშირეების მეორეს მხრით,—დღეს დაეტაკება ერთმეორეს ევროპის დემოკრატია და ბურჟუაზია და პირველს ხელმძღვანელობას გაუწევს გერმანია, მეორეს ინგლისი. მოსალოდნელია ახალი გადაჯგუფება ძალებისა, რომლის საფუძველი იქნება სულ სხვა, ვიდრე იყო დღემდის. ერთმანეთს ხელს გაუწოდებენ ისინი, რომლებიც აქამდის სხვა და სხვა ბანაკში იბრძოდნენ და ერთმანეთს დაეტაკებიან ისინი, რომლებიც მოკავშირეებად ითვლებოდნენ. ეს გადანაწილება ძალებისა ადვილად და ერთბაშად არ მოხდება. ცხადია, ინგლისის და მის მომხრეთა მთავრობა ყოველის ღონით ეცდება ხელი შეუშალოს საერთაშორისო დემოკრატიის ამოძრავებას და არას დაიშურებს, რომ ძირშივე ჩაკლას ყოველივე ჩანასახი სოციალისტების გამოლაშქრების, ვინაიდან უკანასკნელების გამარჯვება, გაშლაგაძლიერება დემოკრატიული და სოციალური რევოლიუციის იქნება სრული დამარცხება ინგლისელ იმპერიალისტებისა, რომელთაც ისეთი დიდი გამარჯვება ხვდათ დღეს ბრძოლის ველზე...

ამნაირია, ორიოდე სიტყვით, მოსალოდნელი ამბების საზოგადო მიმართულება. ბევრს დიდს ცვლილებას მოვესწარით და გვეგონა, რომ თანამედროვე ვითარებამ ყველაფერი ამოსწურა, რაც კი შესაძლებელი იყო. მაგრამ კიდევ ბევრი შესაძლებლობაა გაუნამდვილებელი და თუ მსოფლიო ომის პროცესში ვამბობდით, რომ საჭიროა ძალთა მოკრება, სიმტკიცე, ორგანიზაცია და წინდახედულობა, ეხლა კიდევ უფრო მეტის ნდომით უნდა ვსთქვათ, რომ არაჩვეულებრივი სიფხიზლე გვმართებს და ენერგიის გამოჩენა თავის დასაცავად. მდგომარეობა ჩვენი დღეს გაცილებით უარესია, საერთაშორისო პირობები უფრო გართულებულია და დახლართული. წინად არაფერი გვქონდა და მხოლოდ ვეძებდით. დღეს კი უდიდესი საგანძური გვაქვს—ეროვნული თავისუფლება, საკუთარი დამოუკიდებელი არსებობა, რომლის მოვლა-პატრონობა ფრიად საძნელო და სერიოზული საქმეა. მონები ვიყავით, თითქოს გადავეჩვიეთ თავისუფლების სიტკბოებას, და მხოლოდ მომავალის ოცნებით ვინუგეშებდით თავს. ეხლა თავისუფლები ვართ, ვიგემეთ მისი სიმშვენიერე და დღეს რომ იგი დავკარგოთ, ჩვენი ცხოვრება პირდაპირ აუტანელი შეიქნებოდა. იტყვიან და სრული ჭეშმარიტებაა, დაბადებით ბრმა ისე ვერა ჰგრძნობს სინათლის უქონლობას, როგორც შემდეგ დაბრმავებული. განთავისუფლებული და აღდგენილი ქართველი ერის არსებობა წარმოუდგენელია გარეშე დამოუკიდებელ საქართველოსი და მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი ტანჯვა და შეცოდებაა, ვიდრე თავისუფლებას განუხორციელება.

ეს უდიდესი და უმწვავესი საკითხია ჩვენი დღევანდელობის და მის გარშემო ისე ერთსულოვნად უნდა შემოკრბეს მთელი შეგნებული ქართველობა, როგორც გაერთიანდა მაისის 26-ს საქართველოს განთავისუფლების დღეს. საერთაშორისო ვითარება კიდევ მეტად გართულდა, ახალი ქარიშხალია მოსალოდნელი და ამ დროს ყოველ ქართველ პარტიას ერთად ერთი სათაყვანებელი მიზანი უნდა ჰქონდეს—დაცვა ყოველის საშუალებით ჩვენის სახელმწიფოებრივობის, ჩვენის დამოუკიდებელი არსებობის. გარეშე ამისა დაბნეულია და მკვდარი ჩვენთვის ყოველი ბედნიერება, ადვილად მოგვტაცებს ყოველი მავნე ძალა, გვერდში ჩაგვივლის სოციალური რევოლიუციაც.

ხამ. ფირცხალავა.

მთავრობაში

ნოემბრის 14-ის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

დაევალოს ფინანსთა მინისტრს, რომ მან ნოემბრის 20-მდე გზათა სამინისტროს 200000 მანეთი მისცეს რკინის გზის მოსამსახურეთა ჯამაგირების დასარიგებლად.

—

მიეცეს მიწათ მოქმედების სამინისტროს 6,965 მანეთი ძველი სენაკის ქართული სკოლის აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

—

საგანგებო სასამართლოს წევრად ქრისტეფორე რაჭველიშვილის ნაცვლად, რომელმაც უარი განაცხადა, დაინიშნოს ლაზარე შურღაია, ხოლო ბრალმდებლის თანაშემწედ—ჩხატარაშვილი.

—

იუსტიციის მინისტრს გაეხსნას 7,860 მანეთის კრედიტი ტფილისის სარევოლიუციო ტრიბუნალის წევრთა და მოხელეთა დასაკმაყოფილებლად, ოქტომბრის შრომის ქირისა და სალიკვიდაციო ფულის მისაცემად.

—

მიენდოს იუსტიციის მინისტრს თავის განკარგულებით სამტრედიის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის საქმეები—ქუთაისის სამხედრო სასამართლოს გადასცეს და აღნიშნულ სასამართლოს შტატი ტრიბუნალის მოღვაწეებით შეავსოს.

—

მომარაგების კომიტეტიდან საჩქაროდ მიეცეს საპყრობილეთა ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებელს ტფილისის საპყრობილეთა საჭიროებისათვის: 300 საწოლი, 300 ხის ტახტი, 1000 საბანი, 1000 ბალიში, 1000 ნაალი, 200 ფარაჯა, 1000 წყვილი საცვალი და ტყავეულობა 200 წყვილი ჩექმისათვის, იმ პირობით კი, რომ იუსტიციის მინისტრმა შემდეგ საამისო შესაფერი კრედიტი გამოითხოვოს ამ ხარჯების გასასტუმრებლად.

—

საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა სამკურნალო დახმარებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნას 200,000 მანეთის კრედიტი.

უკანასკნელი ცნობები

კარჩიკიანის მოკვლა.

ერევნიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ნოემბრის 14-ს იქ მოუკლავთ სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრი ხ. ო. კარჩიკიანი. მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარა. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ მისი ვინაობა გამორკვეულია.

ენვერ-ფაშის გაქცევა.

ტფილისში მიღებულ ცნობებით კონსტანტინეპოლში ძველი მინისტრების დევნა დაუწყიათ. ენვერ-ფაშას ქალის ტანისამოსი ჩაუცვამს და გაქცეულა. ხალილ-ბეი დერვიშად გადაცმულა და კავკასიისაკენ მოუკურცხლავს, მაგრამ გზაში დაუჭერიათ და უკან დაუბრუნებიათ.

ლტოლვილები.

სამხედრო მინისტრს ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „გუშინ ლტოლვილებმა თავის წრიდან გაგზავნეს ოსმალოს ჯარის უფროსთან სოფ. აგარაში ორი წარმომადგენელი, რომ ლტოლვილებისთვის ნება მიეცა თავიანთ ადგილებში დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ოსმალოს ჯარის უფროსისაგან უარი მიიღეს.

გენერალ გუბერნატორი გენერალ მაიორი მაყაშვილი.

ზავის პირობები

კოლხის აჯგი.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ სწერს, რომ დროებითი ზავის 35 პუნქტი თავის შინაარსით და კილოთი მის ინიციატორებს წაუშლელ სამარცხვინო ლაქას სცხებს, „ტეგლინე რუნდშაუ“ ამბობს: დროებითი ზავის ახალი პირობებიც სამარცხვინო მალდატანებაა იმ ერზე, რომელსაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი უბედურება გადახდა. ეს პირობები წაუშლელ სამარცხვინო ლაქას სცხებს იმათ სინიდისს და ღირსებას, ვინც მოიგონა დიდი ხალხის ტანჯვა-წამება, რადგან დროებითი ზავის ახლად შეცვლილი პირობებიც, ხალხის წამებას და სიკვდილს წარმოადგენს. —დროს გადიდებაც არ კმარა ევაკუაციის მოსაგვარებლად, რომელიც შესაძლოა ასეთ პირობების გამო კატასტროფით დასრულდეს, მით უფრო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენ უნდა შევასრულოთ პირველი ტექსტის პირობა, გავათავისუფლოთ ისეთ თავი და გადავცეთ ლოკომატივები და ვაგონები, გავამარცვინოთ თავი ისე, რომ ჩვენ არ გვქონეს საშუალება შემოვზიდოთ ქალაქში საჭირო სურსათი.

შეხვედრა ინგლისელებთან.

ნოემბრის 16 პირველ საათზე გერმანიის ფლოტის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს რწმუნებული კრეისერ „კენისბერგ“-ით ზღვაში გავიდნენ ინგლისის საადმირალოს წარმომადგენელთა შესახვედრად. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებს საზღვაო ძალების უფროსი ფონ-გიპერი, როგორც ექსპერტი და მრჩეველი.

ავსტრიაში.

გერმანიის ჯარის რწმუნებული ოფიცერი ბუდაპეშტიდან იუწყება, რომ უნგრეთის მთავრობა გერმანიის მე-11 და მაკენზენის არმიებს დღეში 6 მატარებელს აძლევს ჯარის გადასაყვანად.

გერმანიის მიმართვა.

გერმანიის რწმუნებულმა დროებითი პირობებზე ხელის მოწერის შესახებ შემდეგი დეკლარაცია გამოაქვეყნეს: გერმანიის მთავრობა აუცილებლად ეცდება რომ აღასრულოს ყველა ის დავალება რომელიც მას დააკისრეს... ქვემორე ხელის მომწერნი რწმუნებულნი აღნიშნავენ რომ ზოგიერთ პირობებში მათ დაუთმეს მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მცირე დრო საევაკუაციოთ, ისე როგორც ტრანსპორტის საჭირო მასალების გადაცემა, საფრთხეში აგდებს პირობათა აღსრულებას, რომელიც შეუძლებლათ ჰქმნის (გამოტოვებულია)... დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ უნდა შეწყვეტილიყო მათი ტანჯვა, ვინც კონფლიქტში მონაწილეობას არ იღებდა სახელდობრ: ქალები და ბავშვები. გერმანიის ხალხს, რომელიც 50 თვის განმავლობაში ბრძოლით თავს იცავდა მთელი ქვეყნისგან, ყოველგვარ ძალადობის მიუხედავათ, სურს შეინარჩუნონ მთლიანობა და თავისუფლება. 70 მილიონი ხალხი შესაძლოა დაიტანჯოს, მაგრამ მისი სიკვდილი შეუძლებელია. ერცბერგერი, გრაფი ოპერნდორფი, ფონ ვინტერფელდტი, ფანსელოვი.

მთავრობის ზომები.

მას შემდეგ, რაც რევოლიუციის მიერ გამოწვეული მოძრაობა დასრულდა და სიმშვიდე და წესიერება დამყარდა, ახალი მთავრობა ზომას იღებს ეკონომიურის მხრით უზრუნველყოს ხალხი.

ნეიტრალური პრესა

ნეიტრალური პრესა განაგრძობს დროებითი ზავის პირობების სერიოზულად განხილვას და ერთხმად აღიარებს მათ სისასტიკეს. სტოკჰოლმის გაზეთი „სოც.-დემოკრატენ“-ში ბრანტინგი ვილსონიადმი მიმართულ ხოლფის ნოტის შესახებ ამბობს: „ამ კეთილშობილურმა აპელაციამ, რომლითაც გერმანიის ხალხმა მიმართა ვილსონს, რომ იგი დაეხმაროს დროებითი ზავის პირობების შესამსუბუქებლად, ყველა პატიოსნურად მოაზროვნეში თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს. გერმანიის ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ გერმანიის იმპერიალიზმთან მებრძოლთა ერებმა ეხლა გერმანიის ხალხთან არ აწარმოვოს ბრძოლა. ვილსონი დეკლარაციების მთელ რიგში კაცობრიობის სინდისზე ლაპარაკობდა და ბრძოლას აწარმოებდა გერმანიის მთავრობასთან, როგორც სხვების დასამონავებლად ძალადობას მიმართავდა ეხლა ამ გადამწყვეტ საათში მას მიმართეს თხოვნით, სთქვას თავისი სიტყვა დროებითი ზავის პირობების შესამსუბუქებლად. ეს პირობები უქადის ახალ გერმანიის კატასტროფას, რომელიც კისერზე დააწვება გერმანიის ხალხს.

საქართველოს პარლამენტი

(პარასკევი. ნოემბრის 15).

პარლამენტმა თითქმის უკამათოთ მიიღო სამი კანონ-პროექტი: 1) გადასახადების აკრეფის, 2) სააქციზო უწყების ორგანიზაციისა და 3) გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის ერთდროული დახმარების შესახებ.

მეორეზე კანონ პროექტი ეხება 200 მილიონი მანეთის ბონის გამოცემას. ფინანსთა მინისტრის საემისიო უფლება უკვე ამოიწურა და მას შემოაქვს ახალი კანონ-პროექტი, უკვე გამოცემულ 580 მილიონის გარდა, მიეცეს უფლება დამატებითი 200 მილიონის ბონის გამოცემისა.

ჩვეულებრივს იერიშით მთავრობის (ფინანსთა მინისტრის) წინააღმდეგ გამოდის ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის ორივე ფრთა. ფინანსთა მინისტრი უილაჯო და უინიციატივოა: იგი ვერავითარ უნარს ვერ იჩენს, რომ გადალახოს ტეხნიკური დაბრკოლებები, ქართული ბონების გამოცემას რომ აფერხებს, და კვლავ აწ განსვენებულ ამიერკავკასიის სახელით განაგრძობს ბონების ბეჭდვას,—ეს იყო ლაჩარი, 200 მილიონის ბონებზე მიტანილი და ლაშქრობაც სახელოვნად დააგვირგვინეს:

ნაციონალ დემოკრატებმა კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს.

* * *

განსახილველ კანონ-პროექტთა სია ამოწურულია და პარლამენტიც გადადის შეკითხვების განხილვაზე.

დღის წესრიგში სამი შეკითხვაა: 1) შეკითხვა დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციისა მთავრობისადმი და სახელმწიფო კონტროლიორისადმი—30 მილიონი სალიკვიდაციო ფონდის შესახებ, 2) შეკითხვა პარლამენტის წევრთა ნ. თარხნიშვილისა და ლეონ თუმანოვისა იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი—სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა ბუდუ მდივანისა და სხვ. საპყრობილეში უბრალოდ ამწყვდევის შესახებ და 3) შეკითხვა პარლამენტის წევრის დ. დავითხანიანისა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებისადმი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამომქვეყნების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

პირველი და მესამე შეკითხვა, თანახმად მათივე ავტორების—გრ. ვეშაპელისა და დ. დავითხანიანის—განცხადებისა, მოხსნილია დღის წესრიგიდან.

მესამე შეკითხვის ავტორი ნ. თარხნიშვილი კიდევ გრძნობს თავის კუნთებში ენერგიას, რომ სცადოს უსაფუძვლო შეკითხვის დაცვა:

„ბოლშევიკები, ბუდუ მდივანი და სხვები ადმინისტრატიულის წესით დაატუსაღეს და უბრალოდ ამწყვდევიან საპყრობილეში. რა ზომები მიიღო მთავრობამ, რომ მოსპობილ იქმნას ადმინისტრატიული წესი დატუსაღებისა“.

„პოლიტიკური ცინიზმი“ უწოდა ასეთ შეკითხვას კირილე ნინიძემ.

მართლაც, ყოველი შეკითხვის მიზანია, მიუთითოს მთავრობასა და ხელმძღვანელ წრეებს შეცდომებზე და ამ გზით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეკითხვას უპასუხისმგებლო პირთა ობსტრუქციის ხასიათი ეძლევა.

საქართველოს პარლამენტში კი შეკითხვა შემოაქვს ნ. თარხნიშვილსა და მის კამპანიას, რომელმაც ჯერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღესვე თავისი გაზეთის პირველ გვერდზე მიმართა ხალხს: „მთავრობამ გაგყიდათ ზეგებზე, ნუ დაემორჩილებით მას, მოითხოვეთ, რეფერენდუმი“, ხოლო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ დღეებიდანვე საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვის.

შეკითხვა შემოაქვთ იმ პირებს, რომელნიც, როგორც პარლამენტში ითქვა—ჯავის ხეობის ოსებს და დუშეთში აჯანყებულებს უფრო მომზადებულად სთვლიან სოციალიზმის მისაღებად, ვიდრე დანარჩენ საქართველოს.

მთავრობის წარმომადგენელმა დასაბუთებული პასუხი გასცა შემკითხველს და პარლამენტიც დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებებით.

ხ. ყ.

—

12 ს. 30 წ. კრებას ხსნის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

მდივანი ი. აბაკელია ჰკითხულობს დღის წესრიგს.

შ. ამირეჯიბი (სარედაქციო კომ. წევრი) ჰკითხულობს საბოლოო ტექსტს სადგილ-მამულო რეფორმისათვის სტატისტიკის შედგენის კანონისა.

ტექსტი მიღებულია ერთხმად.

ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული მოითხოვს, რომ ბონების საკითხი, რომელიც დღის წესრიგში მეორეზე მეხსიოდ არის დასმული, პირველ რიგში იქნეს განხილული: „ჩვენი საემისიო უფლება —ამბობს მინისტრი—გათავდა. ხოლო ხარჯები იმდენია, რომ დაყოვნება შეუძლებელია. მეორეს მხრით ადერბეიჯანის წარმომადგენელთან ხელშეკრულება უნდა დავდვათ ბონების საერთო სახელით გამოცემის შესახებ დღესვე, რადგან ხვალ უკვე ადერბეიჯანის პარლამენტი გაიხსნება და ხელშეკრულების დადებაც შეუძლებელი შეიქნება. ეს ორი საბუთია, რომლითაც მე ვთხოვ პარლამენტს, თუ პირველ რიგში არ განიხილავს ბონების გამოცემის საკითხს, ყოველ შემთხვევაში ისე მოაქციოთ, რომ დღესვე იქნეს გადაწყვეტილი.

პარლამენტი ყურად იღებს მინისტრის განცხადებას.

კანონ-პროექტი გადასახადის აკრეფისა.

პ. ქავთარაძე (საფინანსო კომ. წევრი) ჰკითხულობს კანონ-პროექტს გადასახადის აკრეფისა, კანონ-პროექტის ძალით ქუთაისში, ტფილისში, ფოთსა და სოხუმში არსდება საგანგებო მილიცია გადასახადის აკრეფისათვის, ხოლო დანარჩენ ქალაქებში და დაბა-სოფლებში გადასახადის აკრეფას არსებული, ჩვეულებრივი მილიციის დახმარებით აწარმოებს ამის გარდა გადასახადთა ინსპექციას უფლება ეძლევა რევიზია მოახდინოს.

ალ. ლომთათიძე (ს.-დ.) კანონ-პროექტის წინააღმდეგია, რადგან მის დასახადის აკრეფაში არავითარი ცვლილება არ შეაქვს, იმისათვის, რომ ზოგიერთ პუნქტში საგანგებო მილიცია დაარსო გადასახადის აკრეფისათვის, ორატორის აზრით, სრულებით არ არის საჭირო საგანგებო კანონ-პროექტი; ამისათვის საკმარისია მხოლოდ სათანადო უწყების ინსტრუქცია, რომელსაც მართველობის წესით შეუძლია ეს მოაწყოს.

ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული მიუთითებს პარლამენტს, რომ კანონ-პროექტს შეაქვს ცვლილება არსებულ მდგომარეობაში: იგი რევიზიის უფლებას ანიჭებს გადასახადთა ინსპექტორებს.

კ. ნინიძე (ს.-დ.) რევიზიისათვის სრულებით არ არის საჭირო ინსპექციას უფლება მივანიჭოთ, ამისათვის არსებობს სახელმწიფო კონტროლიორი (რ. ივანიცკი ადგილიდან: რუსეთშიც არსებობდა სახელმწიფო კონტროლიორი). რუსეთში არსებობდა და ეხლა ტფილისში იქნება.

ალ. ლომთათიძე ხსნის თავის წინადადებას.

პ. ქავთარაძე ჰკითხულობს პუნქტობრივად კანონ-პროექტსა და ხარჯთაღრიცხვას. გადასახადთა ინსპექციის შესანახავად გადებულია 446,000 მ.

კანონპროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია ერთხმად.

სააქციზო უწყების ორგანიზაცია.

პ. ქავთარაძე (საფინანსო კომ. წევრი) ჰკითხულობს კანონ-პროექტს სააქციზო უწყების ორგანიზაციის შესახებ და მის ხარჯთ-აღრიცხვას, სააქციზო უწ-

ყების შესანახავად წლის დამლევამდე გადებულია სულ 319.750 მანეთი.

კანონ-პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია ერთხმად.

გურიის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები.

ნ. ცინცაძე (სასკოლო კომ. წევრი). განათლების სამინისტროში ოზურგეთის მაზრის ზოგიერთ საზოგადოებისაგან შემოვიდა შუამდგომლობა, რომ სამინისტროს თავის თავზე აეღო უმაღლეს დაწყებითი სკოლების შენახვა, რომელნიც გურიაში არსებობდა. კომისიამ დაადგინა ზოგიერთ მათგანს (ლიხაურის, ამაღლების, ატანის და ბახვისას) მიეცეს დახმარება, სულ 12.000 მ.

კანონ.პროექტი მიღებულია ერთხმად.

ბონების გამოცემა.

ნ ცინცაძე (საფინანსო კომ. წევრი) ჰკითხულობს კანონ-პროექტს, რომლის ძალით ფინანსთა მინისტრს ეძლევა საემისიო უფლება—გამოსცეს გარდა უკვე გამოცემულ 520 მილიონი მანეთის ბონებისა კიდევ 200 მილიონის. ამაში 100 მილიონი უნდა დარჩეს საქართველოს, დანარჩენი უნდა მიეცეს აზერბეიჯანს. პასუხისმგებელნი არიან საქართველო და აზერბეიჯანი.

გრ. ვეშაპელი (დამოუკ. ნ.-დ.) ბატონებო! მე დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კრებას, როდესაც იქ ბონების გამოცემაზე იყო ლაპარაკი. ჩემთვის სავსებით გამოირკვა, რომ საერთო ამიერკავკასიის ბონების გამოცემა არაფრით სჯობს, ქართული ბონების გამოცემაზე. ის საბუთი იყო წამოყენებული ქართული ბონების გამოცემის წინააღმდეგ, რომ არ უნდათ დააურდავონ და სახელი გაუტეხონ ქართულ ფულს, რადგან საერთო პირობები ისეთია, რომ ქართული ფული პოპულიარული არ იქნება. გარდა ამისა არც ერთ წევრს საფინანსო კომისიისა არავითარი არგუმენტი არ წამოუყენებია, ხოლო ჩვენის აზრით საერთო ამიერკავკასიის სახელით ბონების გამოცემა არც ერთი მოსაზრებით არ არის მისაღები. რომ დავაკვირდეთ პოლიტიკურ მოსაზრებას ამ საკითხისას ჩვენ დავინახავთ, რომ ბონები იბეჭდება ამიერ-კავკასიის კომისარიატის და არა რესპუბლიკის სახელით, რაიც საერთაშორისო თვალსაზრისით პირდაპირ მიუღებელია. ამას გარდა, სახელმწიფოსთვის ისეთი ფულის გამოცემა, რომლის ნაწილი ეძლევა იმას, ვისთანაც ეს სახელმწიფო ეკონომიურ კავშირში არ არის, ეკონომიურად დამღუპველია. შესაძლოა, რომ სწორედ იმ ფულით, რომელიც მას ეძლევა, მან აქვე იყიდოს საქონელი და გაიტანოს.

როდესაც შენს ფინანსიურ სისტემას აშენებ იმ ერთეულთან შეთანხმებით, რომელიც არავის უცვნია, მაშინ ანგარიშები გამოცემულ ბონებისათვის დაატყდება იმას, ვინც უკეთეს პირობებშია. პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივია ფულის გაგზავნა იქითკენ, საიდანაც სამხედრო საფრთხე მოგველის (სომხეთი). საერთოდ მეტად უხერხულია ამ არსებული კომისარიატის სახელით გამოცემა ბონებისა.

ყველაზე უფრო მთავარი არგუმენტი ქართული ბონების წინააღმდეგ იყო და არის ეხლაც ტეხნიკური მოსაზრებანი. ჩვენ დაგვიმტკიცებენ, რომ რამდენიმე თვეა საჭირო კლიშესი, სურათების და სხვ. დამზადებისათვის. და თუ ჩვენ ამას უცადეთ რამდენიმე თვე, ბანკროტები გავხდებითო.

ბატონებო! ბანკროტობის შიშით გაამართლებენ ყოველ მოსაზრებას, რომელიც იქნება ქართული ბონების მომხრე. ნუ თუ ისე ძნელია ამ ტეხნიკური დაბრკოლებების გადალახვა და კლიშე—სურათების დამზადება. ჩვენი სამინისტრო იმდენად უილაჯო და უინიციატივოა, რომ ვერ ვხედავთ ვერც ერთ ნაბიჯს, რეალურ ნაბიჯს, ამ საკითხის მოსაგვარებლად გადადგმულს.

მე მიკვირს, რად დასჭირდა ამიერ-კავკასიის ბონები აზერბეიჯანს. აზერბეიჯანის ოფიციალურ გაზეთ „აზერბეიჯანში“ იყო ცნობა, რომ კონსტანტინოპოლში იბეჭდება აზერბეიჯანის ფული. ქნება საქართველოს ფულის გამოცემაშიც ისეთივე როლი ითამაშოს აზერბეიჯანმა, როგორც მან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ითამაშა: იქნება მან ეხლა თავს იდვას ინიციატივა და საკუთარი ბონები გამოგვაცემინოს ისევე, როგორც მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოგვაცხადებინა.

გ. ქიქოძე (ნ.-დ.) ბატონებო! რამდენად არა ნორმალურია ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, იქიდანაც სჩანს, რომ წინად მთელი კავკასიისათვის რუსეთის მთავრობა წლიურად სულ 10 მილიონ მანეთს გზავნიდა. ამ წლის განმავლობაში კი 800 მილიონამდე იბეჭდება ამიერ კავკასიის ბონები, რომლიდანაც ორი მესამედი საქართველოს ტერიტორიას ხვდება. ძალიან ბევრი ფულია გაფანტული ხალხში და ყოველი შესაძლებელი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ იგი ამოვსწუროთ ხალხიდან. ასეთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს გადასახადის გადიდება და შინაური სესხი. ამას გარდა ჩვენ შეგვიძლია ჩამორთმეული მიწები გავყიდოთ. გავყვეთ ბატონებო ფრანგის იაკობინელებს, რომელნიც ხშირად მაგალითია ჩვენი რევოლუციონერებისათვის და ჩამორთმეულ 700 ათას დესეტინაში 300—400 მილიონ მანეთს მივიღებთ. მეორე საშუალებაა ქართული ბონების გამოცემა. ეს საშუალებას მოგვცემდა მოგვეხდინა ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიის ბონებისა ისე, რომ მას პატრონი ვერც კი იგრძნობდა.

დღეს კი—ათავებს თავის სიტყვას ორატორი—საქმე საჩქაროა და პარლამენტმა უნდა მისცეს ახალი საემისიო უფლება ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი **გ. ჟურული** ეხება ქართული ბონების გამოცემის საკითხს და ამბობს, რომ მხოლოდ ტეხნიკური მოსაზრებებით კი არ ბრკოლდება ქართული ბონების გამოცემა: „ზედმეტი უბედურება, რომ არ დაგვატყდეს—ამბობს მინისტრი—უკეთესია ისევ ძველი გზით განვაგრძოთ ფულის გამოცემა“. შემდეგ მინისტრი ეხება კრიტიკას, რომელიც ვეშაპელმა და ქიქოძემ გაუწიეს.

მომხსენებელი **ნ. ცინცაძე** ჰკითხულობს კანონ-პროექტს 200 მილიონის ბონების გამოცემის შესახებ.

კანონ-პროექტი მიღებულია. ნ.-დემოკრატებმა თავი შეიკავეს.

დამოუკიდებელ ნაც.-დ. შეკითხვა 30 მილიონიან ფონდის შესახებ.

ოქტომბრის 11-ს დამოუკიდებელმა ნაციონალ-დემოკრატებმა შემოიტანეს პარლამენტში მთავრობისადმი და სახელმწიფო კონტროლიორისადმი შეკითხვა იმ 30 მილიონი მანეთის შესახებ, რომელიც რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ გამოგზავნა ამიერ-კავკასიაში რუს მოხელეთა სალიკვიდაციოდ.

გრ. ვეშაპელი. ეს შეკითხვა ჩემის ინიციატივით ოქტომბრის 11-ს იყო შემოტანილი პარლამენტში, ყოველი საკითხი შეფარდებულია დროებასა და გარემოებასთან. რადგან ეხლა უკვე ნოემბრის 16-ია და სხვა და სხვა გარემოებანი დაიბადა, მე შემიძლია შეკითხვა მოვხსნა.

ნ.-დ. შეკითხვა პარლამენტის თანხმობით მოხსნილია.

(დასასრული იქნება)

ყვითელი ფერი

პირველი სონეტი

გარდაიცვალა ოქტომბერი—ქლექით სნეული.
მწვანე დარბაზი მოიქარგა ქარვის ვარდებით,
ცის აივანზე გადმოჰფინეს სალაფარდები
და დაიფარა მზე—თვალებში ცრემლ ჩაბნეული.

ტყის კარიდორში ყვითელი ბრბო შემოსეული,
ტყის სასახლეში ჩამტვრეული შუშაბანდები,
ჩუმი ჩურჩული, გაცრეცილი—შიშით ლანდები
და თავ დახრილი ხეივნები—ქარით ძლეული.

ნელი ზარის ხმა, სანთლის შუქი, შანდლების მწკრივი,—
ატირებული ჰიანური—ვით მეფე ქვრივი,
მელანქოლია, მძიმე მწუხრი და ნოემბერი...

დაუმთავრებელ სიმღერებში ჩავკეტე გული,
დავმარხე ფიქრი—ზამბახებით შემოქარგული
და ზედ დავხურე შემოდგომის ყვითელი ფერი...

ს. ფაშალიშვილი.

რევოლუცია გერმანიაში

მთავრობის პროგრამა.

ბერლინის პრესა მსჯელობს მთავრობის პროგრამაზე ეხლახან რომ გამოქვეყნდა. ყველა მიმართულების ბურჟუაზიული გაზეთი აღიარებს, რომ უპირველეს ყოვლისა მთავრობა უნდა შეუდგეს ეროვნულ კრების არჩევნების მზადებას. გაზეთების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ თუმცა აღმასრულებელ კომიტეტებში მუშების და ჯარისკაცების თანაბარი წარმომადგენლები ჰყავთ, მაგრამ ზომიერ სოც.-დემოკრატიის პარტია მაინც შეინარჩუნებს თავის პოზიციას, რადგან კვირის არჩევნებზე ჯარისკაცებმა ხმა ზომიერ პარტიას მისცეს, ხოლო მცირე ნაწილმა მემარცხენე პარტიულ ჯგუფს. თანამედროვე კრიტიკული მდგომარეობა ასეთია: საერთო პოლიტიკური მთავრობა პასუხისმგებელია აღმასრულებელ საბჭოს წინაშე. ისევე როგორც წინანდელი მთავრობა რეიხსტაგის მთავარ კომიტეტის წინაშე; რეიხსტაგი და ფედერატიული სახელმწიფოთა სეიმები ამ ჟამად მოვალეობის გარეშე იმყოფებიან. მათი ფუნქციები და უფლებანი გადაეცემა მომავალ საკონსტიტუციო ყრილობას.

ბანკების მდგომარეობა

გერმანიის პრესა. ნოემბრის 14-ს. მთავრობა ყველას საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზოგიერთ ადგილში გავრცელებულ ხმების გამო გამოწვეული შიში, რომ საზოგადოებამ შესაძლოა დაკარგოს ბანკებში და შემნახველ კასებში შეტანილ თანხებზე ყოველგვარი უფლება, სიმართლეს მოკლებულია.

სოციალისტების ბანაკში.

ბერლინი, 11—11. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ცხარე სხდომა ჰქონდა. პარტიის წინადადებამ, რომ აღმასრულებელი კომიტეტი შესდგეს მხოლოდ დამოუკიდებელთაგან, ცხარე კამათი გამოიწვია. კამათის შემდეგ გადასწყვიტეს აღმასრულებელი კომიტეტი პარიტეტულ საფუძველზე შესდგეს. ლიბკნეხტის სიტყვამ დიდი მღელვარება გამოიწვია. ლიბკნეხტი გმობდა ებერტს და მის მთავრობას. აღმასრულებელ კომიტეტში შედის 6 შეიდემანელი, 6 დამოუკიდებელი და 14 ჯარისკაცი. თავმჯდომარედ აირჩიეს პოდპოლკოვნიკი ბალცი. აღმასრულებელი კომიტეტი აწარმოებს საქმეს პანგერმანელთა საბჭოს ყრილობის მოწვევამდე. ლიბკნეხტი აფრთხილებს ჯარისკაცთ არ აირჩიონ დელეგატებად ოფიცრები. ამის შემდეგ შეადგინეს სახალხო რწმუნებულთა საბჭო, რომელიც ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა წინაშე პასუხისმგებელი იქნება. სხდომაზე შეიმუშავეს შემდეგი მიმართვა მუშებისადმი: გერმანია სოციალისტური რესპუბლიკაა, მთავრობაში მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენელნი არიან. დღის ლოზუნგია დაუყოვნებლივი ზავი. რევოლუცია [illegible] კაპიტალისტურ საშუალებათა თან და თანობითი და სწრაფ განსაზოგადოებრიობას მოითხოვს... (გაუგებარია და გამოტოვებულია).

ახალი მთავრობა.

ბერლინი. 13—11. სახალხო რწმუნებულთა საბჭომ მთავრობის წევრთა მუშაობა შემდეგნაირად გაანაწილა: ებერტი—შინაგან და სამხედრო საქმეთა, ჰაზე—კოლონიის და საგარეო, შეიდემანი—ფინანსთა, დიტმანი—დემობილიზაციის, იუსტიციის და ჯანმრთელობის, ლანდსბერგი ბეჭდვითი საქმის და ინფორმაციის. გერმანიის ახალი მთავრობის პროგრამა: საალყო წესების მოსპობა, კავშირების და კრების თავისუფლება, ცენზურის გაუქმება, სინდისის თავისუფლება და პოლიტიკურთა ამნისტია გამოაცხადა.

აწმყო და მომავალი ფიქრები

ავსტრო-უნგრეთი დაირღვა. მის ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენდა მთელი რიგი პატარ-პატარა სახელმწიფოებისა. როგორ ჩამოყალიბდება საბოლოოდ ეს სახელმწიფოები, არ ვიცით, მაგრამ დღეს კი ჩვენ მოწმენი ვართ ავსტრიის ერთა დიდი მოძრაობისა, რომელსაც ნათლად აღევს ბეჭედი ჯან-საღი სიხარულისა და დღესასწაულისა განთავისუფლების გამო. ავსტრო-უნგრეთი დაირღვა, და მისმა ერებმაც მკლავის ერთი მოქნევით მოიგლიჯეს კისრიდან საუკუნოებით დადებული უღელი და ახალ-გაზდურის გატაცებითა და აღფრთოვანებით შეუდგნენ სახელმწიფოებრივ—საამშენებლო მუშაობას. აი როგორ გადმოგვცემენ გაზეთები ჩეხიის განთავისუფლებას. პრაგა ერთბაშად მოირთო ჩეხური ეროვნული დროშებით. ბევრს ადგილას მოსჩანდა შეერთებული შტატების დროშები. ანდრაშის ნოტამ ქალაქის ყველა ქუჩასა და მოედანზე აუარებელ ხალხს მოუყარა თავი. ტრიბუნებზე ჩეხელი დეპუტატები ლაპარაკობდნენ. ქალაქის თვითმმართველობის ყველა მოსამსახურეებმა გამოაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ეროვნულ საბჭოს დაემორჩილნენ. ამის შემდეგ მოედანზე ეროვნულ საბჭოს წევრებმა სიტყვებით მიჰმართეს ხალხს. განთავისუფლების დასაწყისია, გთხოვთ წესიერება და სიმშვიდე დაიცვათო. ქალაქებში გაიმართა მთელი რიგი დემონსტრაციებისა. ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ქუდებზე ეროვნული ნიშნები გაიკეთეს. სახელმწიფოს არწივები დაუყოვნებლივ მოხსნეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან. საღამოთი ფელდმარშალ-ლეიტენანტი კესტრანეკი ეროვნულ საბჭოში გამოცხადდა და მთელი ძალა-უფლება მას გადასცა. პრაგაში მოვიდა 28 პოლკი, რომელსაც მცხოვრებლები დიდის აღტაცებით შეხვდნენ. პრაგის პოლიციამ თეთრ-წითელი კოკარდები გაიკეთა. მთელი პრესა დღესასწაულობს ჩეხიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. „შევარდენთა“ საზოგადოებამ, მუშათა კავშირებმა, სტუდენტობამ და [illegible] საზოგადოებებმა გამოსცეს მოწოდება და მოითხოვეს ხალხისაგან წესიერების დაცვა. მუშათა დადგენილებით ქარხნები ერთი დღით დაიკეტა. დილიდანვე აუარებელი დემონსტრანტები მუსიკით დადიოდნენ ქუჩებში. გერმანული წარწერები მაღაზიებზე ან ჩამოჰგლიჯეს ან გადალესეს. დემონსტრანტებს ხელში ჩეხური და ამერიკული დროშები ეჭირათ.

ასე დღესასწაულობს თავის განთავისუფლებას ერი, რომლისთვისაც სამშობლოს დამოუკიდებლობა „უბედურება“ კი არ არის, არამედ უდიდესი ისტორიული აქტი, რომელმაც ფართო გზა უნდა გაუხსნას ერის კულტურული ძალების თავისუფალ განვითარებას.

შეადარეთ ეს აღფრთოვანება, ეს სიხარული განთავისუფლებული ერისა ჩვენს სულიერ განწყობილებას და თქვენთვის ცხადი გახდება, რა დიდი და ძირითადი განსხვავება არსებობს ამ ორ მოვლენათა შორის. საქართველოს განთავისუფლებას აკლია ბეჭედი სიხარულისა. აკლია ძლიერი განცდა, აკლია ის სითბო, რომელიც ძალუმად გამოსჭვივის ჩეხური მოძრაობიდან. საქართველოს განთავისუფლების საქმე ჩვენმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მშრალსა და დოგმატიურ ჩარჩოებში მოაქციეს და ისეთი შავ-ბნელი სუდარა გადააფარეს, თითქოს ერი საშინელი უბედურობის წინაშე დადგა და მხოლოდ ამ უბედურობით შეიძლება გამართლდეს ისეთი ბოროტება, როგორიცაა საქართველოს განთავისუფლება ასის წლის უსინდისო მონობისაგან. ვერც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტმა, ვერც შემდეგმა მოვლენებმა ვერ გამოიწვია ის ენტუზიაზმი, რომელიც ყველგან და ყველასთვის იჩენს თავს, თუ ასეთი ისტორიული მნიშვნელობის აქტი შედეგია ხოლმე ერის ღრმა მისწრაფებისა. ამ დიად ისტორიულ აქტს ჩვენმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა სხეულში შხამი ჩააწვეთეს და სიხარული მიუღწეველი გახადეს. რუსეთის იდეით დაავადმყოფებული პოლიტიკური მოღვაწენი დიდებულ აქტს საქართველოს განთავისუფლებისას მხოლოდ დასტიროდნენ. ჩრდილოეთის ჯანღიან ატმოსფეროში აღზრდილი ფსიქოლოგია ვერ შეეთვისა სამხრეთის ცხოველმყოფელობას და ჩვენს ერში ჩააქრო ყოველგვარი შესაძლებლობა სიხარულისა დიდებული აქტის გამოცხადების გამო.

მთელი შემდეგი მოღვაწეობაც მოშხამულია ამ ატმოსფეროთ. იყო შემთხვევაში, როდესაც ერს შეეძლო ეს სიხარული განეცადა, იყო შემთხვევები, როდესაც შესაძლებელი გახდა ერის ერთგვარი გადახალისება მომხდარიყო და მთელი თავისი შინაგანი არსებით განეცადა სიტკბოება ამ განთავისუფლებისა, მაგრამ სუსხიანმა ჩრდილოეთმა მაინც თავისი უბრალო და გაყინული ნიავით დაამრო სამხრეთის ნორჩი ყვავილი.

ჩვენ გვიხარიან, სხვები კი დასტირიან ჩვენს სიხარულს. ჩვენ ვიბრძვით რუსეთის ბატონობის სამარცხვინო მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად, რუსეთის იდეით დასნეულებით პოლიტიკური მოღვაწეები კი თავის ბატონის აჩრდილს მისტირიან. ჩვენ გვინდა სიცოცხლე ენერგია გამოვიწვიოთ, გვინდა თვითმოქმედების გზაზე დავაყენოთ ხალხი, ისინი კი, ვისთვისაც საქართველოს განთავისუფლება მხოლოდ უბედურებაა და არა ბრწყინვალე დღესასწაული განთავისუფლებული ერისა, კვლავ მას სუდარას აფარებენ ერს და მიათრევენ ჩვენს ქვეყანას იქითკენ, სადაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის სამარეა გათხრილი.

ჩეხიაში ერის განთავისუფლებას დღესასწაულობდნენ, ჩვენში კი შინაურები და გარეულნი ყორნებივით დასჩხავიან ამ განთავისუფლებას. ჩეხიაში ხალხი განიცდის სიხარულს განთავისუფლებისას, ჩვენში კი დასტირიან ამ განთავისუფლებას, როგორც უბედურობას.

სწორედ ამ ძირითადი სულიერი განწყობილების ბრალია: რომ ყოველივეს გადამთიელს შესაძლებლად მიაჩნია ახალ ახალი ექსპერიმენტებით მიჰმართოს ჩვენს ქვეყანას და კიდევ მოგვცეს წინადადება რუსეთთან გაერთიანებისა ამა თუ იმ სახით. თუ საქართველოს დამოუკიდებლობა მართლა უბედურებაა, რატომ არ შეიძლება ერთხელაც არის შეიქნას ისეთი პირობები, როდესაც ამ უბედურებას ბოლო მოეღოს. თუ ისეთი დიდი ისტორიული ფაქტი, როგორიცაა ერის განთავისუფლება მონობისაგან და პოლიტიკური ტყვეობისაგან, შედეგია პარტიული თავმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილისა, თუ საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ იმიტომ უნდა გამოცხადებულიყო, რომ რუსეთში დამარცხებულ პოლიტიკურ მიმართულებას საქართველოში მაინც შერჩენოდა პოზიციაში და სამოქმედო ასპარეზი,— თუ მხოლოდ ეს იყო მიზეზი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, მაშინ მართალნი არიან ისინი, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი საქართველოს ხელ-ახლა შეერთებისა რუსეთთან.

ჩვენთვის საქართველოს თავისუფლება არც უბედურება ყოფილა და არც ნაყოფი რუსეთის მთლიანი მოძრაობის დამარცხებისა. ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობა იყო და არის მისწრაფების საგანი. ამიტომ ჩვენ საქართველოს ბედს ვერ დავუკავშირებთ იმას, თუ რანაირ სახეს მიიღებს რუსეთი მომავალში. ბოლშევიკურ რუსეთად დარჩება იგი, მონარქიულ რუსეთად გადაიქცევა და რესპუბლიკად შეიქნება, ეს ჩვენთვის, რასაკვირველია, სულ ერთი არ არის, მაგრამ რანაირი სახეც არ უნდა მიიღოს რუსეთმა, ჩვენ ვერ შეგვიძლიან ეს შეცვლილი მდგომარეობა საქართველოს დამოუკიდებლობის და [illegible] მიზეზად დავასახოთ. რუსეთში კვლავ რომ შეიქმნას ისეთი წესწყობილება, რომელიც დემოკრატიისთვის მისაღები გახდება, ეს ჩვენ ვერ გვაიძულებს ხელი ავიღოთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე, რადგანაც ერის პოლიტიკური თავისუფლება თავის თავად ჩვენთვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ამ ღირებულების გაქარწყლება შეუძლიან იმას, ვისთვისაც ერთა განთავისუფლება პოლიტიკური [illegible], ვისიც არ უნდა იყოს ეს და რომელ სახელმწიფოებრიობისაგანაც არ უნდა თავისუფლდებოდეს, ტაქტიკის საკითხია და არა ღრმა პოლიტიკური მისწრაფებისა, იმას, რასაკვირველია, ვერ შეუძლიან ერის განთავისუფლება ისე იდღესასწაულოს, როგორც პრაგაში დღესასწაულობენ ჩეხის განთავისუფლებას ჩეხური მამულიშვილები.

როდესაც კითხულობ ამბებს ჩეხიის დღესასწაულისას, ძალა-უნებურად შედარებას ახდენ და მთელის გულის ტკივილით განიცდი იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც ჩვენმა პოლიტიკურმა წრეებმა შექმნეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამო.

იქ ერის განთავისუფლებას დღესასწაულობენ, აქ კი დასტირიან, როგორც უბედურებას.

განა შესაძლებელია ერი გაჯანსაღების გზას დაადგეს ამნაირ პირობებში?

არ. ჯაჯანაშვილი

უცხოეთი

რევოლიუცია იტალიაში

ნაუენი 12—11. იტალიის მე-3 არმიის ჯარისკაცნი აფიცრებს აღარ ემორჩილებიან, დეზორგანიზაცია განსაკუთრებით იტალიის მე-6 არმიაშია. იტალიის მთავრობა სცდილობს გერმანიის რევოლიუციის შესახებ ცნობების გავრცელებას ხელი შეუშალოს.

ახალი ამბავი

◆ **ინგლის საფრანგეთის მისია.** გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა ინგლის საფრანგეთის მისიის ჩამოსვლის შესახებ, მართალი არ გამოდგა. ეს შეცდომა გამოიწვია გერმანელ ჯარისკაცთა ცნობამ, რომლითაც ტფილისის სადგურზე ჩამოსული სომხეთში დანიშნული გერმანიის გენერალური კონსული პროდე და მისი კანცელარია, ინგლისის მისიად მიუღიათ.

◆ **ბაქოში.** ბაქოდან მოსულ ცნობებით იქ უკვე ჩამოსულა ინგლის-საფრანგეთის მისია და ოფიცრები.

◆ **გაფიცვა.** საქართველოს რკინის გზათა გენერალ-გუბერნატორი ყარალაშვილი მთავრობას ატყობინებს, რომ მთავარ სახელოსნოს მუშებმა და მოხელეებმა ოქტომბრის ჯამაგირის მიუღებლობის გამო გაფიცვა გამოაცხადესო.

◆ **გვამის მოპარვა.** ქუთაისიდან ჩამოსული მგზავრი გადმოგვცემს; ამ დღეებში სადგურ მოლითსა და წიფას შუა ღამით მომავალ მატარებლის ვაგონში ასტყდა საშინელი წივილ-კივილი. გამოირკვა რომ ერთ მგზავრ ქალს ბავშვი მოჰკვდომოდა და ჩუმათ შეეხვია მჩვრებში და ტანისამოსში იმის შიშით, რომ მატარებლიდან არ ჩამოესვათ. მაგრამ ბოროტ-მოქმედებს შეხვეული ბავშვი თურმე ნივთები ჰგონებიათ და გვამი მოუპარავთ.

◆ **მაზნიაშვილის კანცელარიაში.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის მაზნიაშვილის კანცელარიის მმართველად დაინიშნა გ. ი. თულაშვილი, მის თანაშემწედ პორუჩიკი მიქელაძე

◆ **ვ. ჯუღელი** სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი ვალიკო ჯუღელი, რომელიც ამ დღეებში ტუაფსეში დაატუსაღეს, გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

◆ **გრ. ჰუმბურიძის მოკვლის გამო** მთავარი კომიტეტის და პარლამენტის წევრმა ამხ. სამსონ დადიანმა შინაგან საქმის და იუსტიციის მინისტრებს წარუდგინა განცხადება, სადაც აღნიშნულია ყველაფერი ის, რაც მან იცის ხსენებულ საქმის შესახებ და რაც ცნობები შეუგროვებია აგრეთვე სოფ. მისაქციელში.

◆ **ტფილისის ქართულ უნივერსიტეტის** საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ. დღეს, ნოემბრის 17-ს, ქიმიის ლექციის შემდეგ, მოხდება ქართულ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება (1 აუდიტორიაში) განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები. საბ.-მეტყ. ფაკულ. დროებითი გამგეობა.

◆ **სახალხო სახლში.** კვირას, 17 ნოემბერს სახალხო სახლში ქართ. წარმმართველი წრის მიერ ივ. ზარველის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი სოციალური დრამა „იმედის დალუპვა“, ფასები სახალხოა. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

◆ **გერმანული ენის კურსები სამხედრო პირთათვის.** ნოემბრის 20, ტფილისის სამხედრო სასწავლებელში, ქართულ გერმანულ კულტურის საზოგადოების თაოსნობით გაიხსნება გერმანული ენის კურსები სამხედრო ყოველნაირი პირთათვის, ფასები შეღავათიანია მეცადინეობა იქნება საღამოობით სწავლა იქნება ბერლიტის მეთოდით. მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ: საერობო საარჩევნო მთავარ ინსტრუქტორის კანცელარიაში (შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, პეტრე დიდის ქუჩა № 8.). 2 გრიგოლ წერეთლისთან, მატერიალური ქ. № 14 და თვით სამხედრო სასწავლებელში ნოემბრის 20 საღამოს 6 საათზე.

◆ **ნაქარგი თეთრეულის გაყიდვა** ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლაში (გაბაშვ. ქუჩა, № 3) იყიდება თეთრეული ნაქარგი. ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან 3-მდე აგრეთვე მიიღებიან მოწაფენი ჭრა-კერვის კურსებზედ.

◆ **ქართული დრამის სეზონი.** ხვალ გაიხსნება სახელმწიფო თეატრში.

◆ **ქართველთა მოსაყვანად.** საგარეო საქმეთა მინისტრმა კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობას აცნობა, რომ საქართველოდან დერბენტში გაიგზავნა მატარებელი იქაურ ქართველთა სამშობლოში მოსაყვანად. მინისტრი სთხოვს მთიელთა მთავრობას, რომ შეეწიოს აღმოუჩინოს იქ მყოფ ქართველობას.

◆ **დანიშვნანი.** გზათა სამინისტროს სატეხნიკო განყოფილების უფროსად დაინიშნა ინჟინერი ანდრონიკაშვილი.

◆ **თავდასხმა.** ნოემბრის 15, ხუდადოვის ქუჩაზე, ნაძალადევში, შეფფელის აფთიაქს გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ოთხი ბოროტ-განმზრახველი. მათ შემოერტყნენ გვარდიელები და ორი თავდამსხმელი შეიპყრეს, რომელნიც აღმოჩნდნენ მდინარაძე და თავართქილაძე.

◆ **დანიშვნანი.** გენერალურ შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა პოლკოვნიკი ჯიჯიხია.

◆ **მოსკოვიდან ჩამოსულ ოფიცრებს** ჰქონდა დავალებული ალექსი იაკუბოვისგან (იაკუბოვიჩი) გადასაცემად დედისთვის წერილი და ფული. გზაში სადგურ ზერნოვში ბოლშევიკებმა ბარგის გასინჯვის დროს წერილი წაიღეს, ასე რომ ადრესი არ შერჩენია ამიტომაც ოფიცერი სთხოვს ქალბატონს იაკუბოვს თავისი მისამართი გამოუგზავნოს სამხედრო სამინისტროს ხაზინადარს მეტრეველს. ბარიატინსკის ქუჩა, 8.

გერმანულ დელეგაციაში

ზავის პირობების შემსუბუქება.

გერმანელ დელეგაციის ცნობით ზავის პირობები მოკავშირეებს შეუმსუბუქებიათ გერმანელი პრესსა ბერლინში აღნიშნავს, რომ თუმცა „დასავლეთ ასპარეზიდან გერმანული ჯარის ევაკუაციის ვადა გაგრძელებულია, თუმცა სანაპიროების ბლოკადა შემსუბუქებულია და ჯერ-ჯერობით გერმანელ ჯარს აღმოსავლეთშიაც სტოვებენ, დროებითი ზავის პირობები გერმანიისათვის მაინც ძალიან საშიშოა

დამფუძნებელი კრება

სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიონ გერმანიის დამფუძნებელი კრება. დამოუკიდებელმა სოციალისტებმაც ამ დადგენილებას მხარი დაუჭირეს.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, 17 ნოემბერს დილის 11 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში მოხდება მთავარი კომიტეტის სხდომა. ყველა წევრის დასწრება აუცილებელია.

—

საგუბერნიო კომიტეტის კრება. დღეს, ნოემბრის 17-ს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება. წევრებს სთხოვენ, არ დაიგვიანონ.

—

დუშელ ამხანაგებს, რომელნიც იყვნენ დუშეთის მაზრაში არჩევნების გამო, ვთხოვთ აუცილებლად და უკლებლივ დაესწრონ კრებას სამშაბათს, საღამოს 8 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

—

კრება კუკიაში. დღეს, ნოემბრის 17 შესდგება სოციალისტ-ფედერალისტების კრება, ამხანაგებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ. კრების შემდეგ მოხდება კომიტეტის არჩევნები.

—

ტფილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა საყურადღებოდ. კვირას, საღამოს 5 საათზე გაიმართება საარტისტო საზოგადოების მეორე აუდიტორიაში სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტთა კრება, განსახილველად დიდად მნიშვნელოვან საკითხისა და ვსთხოვთ ყველა ამხანაგს დაესწროს ამ კრებას.

—

კვირას, ამა ნოემბრის 17-ს, საღამოს 6 საათზე პარტიულ დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება კახეთის რკინის გზის სოც.-ფედერ. პარტიის წევრთა—მოსამსახურეთა.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტროში

1. საპყრობილეთა დაცვის გაძლიერება.

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა საპყრობილეთა ინსპექტორს უსასტიკესი ზომები იქმნას მიღებული საპყრობილეში წესიერების დასამყარებლად და საპყრობილეთა დაცვის გასაძლიერებლად. ამავე დროს სამინისტრომ სთხოვა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ციხეების დასაცავად გაგზავნილ იქმნას განსაზღვრული რიცხვი სახალხო გვარდიელთა. ეთხოვა აგრეთვე ტფილისის გენერალ-გუბერნატორს დაცვის გაძლიერება საპყრობილეთა რაიონებში.

2. რედაქტორების სამართალში მიცემა.

იუსტიციის მინისტრმა შ. ალექსიმესხიშვილმა წინადადება მისცა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს, რათა დაუყოვნებლივ იქმნან სამართალში მიცემული იმ ბეჭდვით ორგანოების რედაქტორები, საცა მოთავსებული იყო ყალბი ცნობები მთავრობის საქმიანობის შესახებ, განსაკუთრებით ლტოლვილთა საკითხის გამო.

3. განქორწინების პროექტი.

იუსტიციის სამინისტრომ მიიღო მთავრობისაგან განქორწინების პროექტი წარდგენილი მთავრობისთვის საკათოლიკოსო საბჭოს მიერ. ეს პროექტი კარგა ხანია რაც შემუშავდა საკათოლიკოსო სასამართლოს ინიციატივით უკანასკნელის წევრის გ. თ. ჟორდანიას მიერ. შემდეგ პროექტი განხილულ იქმნა საკათოლიკოსო საბჭოს და სასამართლოს შეერთებულს სხდომაზე, სადაც განხილულ იქმნა პარალელურად ზემოხსენებული პროექტი გ. ჟორდანიასი, საკათოლიკოსო სასამართლოს მიერ დადასტურებული და აგრეთვე პროექტი საბჭოს წევრის და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის დეკ. კორნ. კეკელიძისა. ორივე პროექტი შეთანხმებულ იქმნა და წარედგინა მთავრობას. მთავრობის დადგენილებით პროექტს განიხილავს საუწყებათაშორისო კომისია იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საკათოლიკოსოს წარმომადგენელთაგან, რის შემდეგ პროექტი წარედგინება მთავრობას და პარლამენტს. საუწყებათაშორისო კომისიის კრება დანიშნულია ორშაბათს, ნოემბრის 18-ს, საღამოს 7 საათზე, იუსტიციის მინისტრის კაბინეთში.

ქვეშევრდომობის კანონი.

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ გამოუგზავნა იუსტიციის მინისტრს საქართველოს ქვეშევრდომობის ახალ კანონის პროექტი, პროექტს წინასწარ განიხილავს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საიურისკონსულტო ნაწილი.

საგანგებო საქმეთა გამომძიებელნი.

ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელთა თანამდებობაზე დატოვებულ იქმნენ გ. ო. ჯომარჯიძე და ბ. დ. რუსანოვი თ. ა.

მასწავლებლების საყურადღებოდ

(უფასო კონცერტების გამო)

ხელოვნების დარგში საქართველომ დიდი კულტურული ნაბიჯი გადასდგა. მიუხედავად პოლიტიკურ და სოციალურ ანარქიისა და ცხოვრების გაჭირვებისა, უკიდურეს გარემოებაში ჩავარდნილი პატარა საქართველო მაინც მღერის. და მის ბაგეზედ რაინდული ღიმილია გამოხატული.

„ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ კვირას, ნოემბრის 17 რეალურ სასწავლებლის დარბაზში, გამოაცხადა თავის პირველი კვარტეტ-კონცერტი ლექციით შეგირდების გასანვითარებლად და ესტეტიურად აღსაზრდელად. ეს უფასო კონცერტი დიდი კულტურული ნაბიჯია.

ეს საუკეთესო მეთოდია ახალგაზრდების წარმატებისათვის. ეს პირველი დაწყებაა „ქართულ სამუსიკო საზოგადოების“ კულტურულ—ფართო ასპარეზზედ გამოსვლისა და ჩვენი ახალგაზრდობა, მასთანვე საზოგადოება, დიდის ინტერესით და თანაგრძნობით უნდა მიეგებონ ამისთანა სიმპატიურ საქმეს დასაწყისი სრულს 12 საათზე დილით.

თეატრი და ხელოვნება

დღეს, კვირას ნოემბრის 17-ს მუშტაიდის დემ. კლ. არსებულ ქარ. წ რ. მმარ. წრე, მართავს მორიგ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „ბატონი და ყმა“ შალვა დადიანის მიერ გადმოკეთებული და „საუბედურო დებიუტი“ ვოდევილი თარგმ. ახოსპირელისა. ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

—

ქართული დრამის სეზონი. ხვალ, ორშაბათს, სახელმწიფო თეატრში გაიხსნება სეზონი ქართ. დრამატ. საზ. ახალი დასისა. ეს ის დასია, რომელიც სტუდიის სახით იყო შემდგარი და ცხრა თვის განმავლობაში თეორიულ-პრაქტიკულ გაკვეთილებს იღებდა დასის მთავარი რეჟისორის ა. ჯაბადარისა და რეჟისორთა შალიკაშვილისა, შათირიშვილისა და კოლხიდელისაგან. სეზონი იხსნება ბრიუ 5 მოქ. მუსიკალურ დრამით „სარწმუნოება“, რომელიც საფრანგეთ ინგლისის სცენებზე ბევრჯელ იყო წარმოდგენილი და რომლისთვისაც განსაკუთრებული მუსიკაა დაწერილი. ეს პიესა დაიდგმის პირველად სამჯერ, შემდეგ კი რამდენჯერმე განმეორდება სრულიად შეცვლილი ანსამბლებით. პიესას რეჟისორობს ა. ჯაბადარი. დირიჟორად მოწვეულია ბ. გუსი

გამომცემელი ხარიტონ შავიშვილი.

რედაქტორი: რწმუნებული მთავარი კომიტეტისა.

ლივიტახოსის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, ივროპულს და გურულს. ვასრულებ ხინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.

გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი ა. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. ხახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ხეოჯგაიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლოს. 2105

ექიმი ვ. ზ. ხარაზიშვილი, მიიღებს ვენერიული სამარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების იღებს 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 801

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. გუდაბათვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მიხაკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. თუმანიშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 ხიმშიაშვილის აფთიაქის გვერდით. 308

ექიმი ი. ა. აბაშიძე შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ძარღვებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ციებისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ქალი რ. ა. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ვიენის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამშობიარო დახმარებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. დ[illegible] იღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭლექებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ავადმყოფებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—43. 2029

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტი; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალვენიდი და არსენალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1810

თვალის სამკურნალო, მედიცინის ექიმი ვ[illegible] დოლიძე

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფნი სრული პანსიონითაც მიიღებიან. 8 3

პერმი სამკურნალო

მთ. ა. დ. ალადაშვილი

მოსულელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

ბ. მ. რეკვავა—შინაგანი და ჭლექების ავადმყოფობანი 9—11

მ. მ. ტუემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ცრილი) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბავშვო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხატიძე—ბაქტერიოლოგი—ამავე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველის და სხვ.).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნესტრების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ვეტერინარის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 8

მეორე ნაზარბეგიანის კერძო ქალაქის სამკურნალო

(დაარსებული 1880 წელს)

ვენერიულ-კანის ძვლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნაზარბეგიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)

ბ. ბ. ავასართელი: 10—12 შინაგანი ავადმ.

მ. გ. [illegible]—კანის და ვენერიული ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ზუბიაშვილი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი

ბ. გ. [illegible] ბავშვთა ავადმ.

ი. ა. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. [illegible] ნაგანი

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.

სამკურნალოს დირექტორი მკურნალი და დოქტორი ა. ნაზარბეგიანი.

სოციალისტური და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 60 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. ხამგლოვიაროდ განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სახაზინო ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.